ხათუნა გოგია

ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას პერსონაჟები ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორიის შუქზე

ანოტაცია: *სტატია გვაწოდებს ლიტერატურული პერსონაჟების დახასიათების ნოვატორულ მეთოდს. ცნობილია, რომ ფსიქოლოგებისა და მწერლების ინტერესს ერთნაირად იწვევს მორალური განწყობები და მათი ფორმირების პროცესები, რაც იძლევა სრულ უფლებას, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური თეორია გამოყენებულ იქნას ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათის გახსნისთვის. ნაშრომში ამერიკელი ფილოსოფოსის ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორია გამოყენებულია ახალი მიზნით: ლიტერატურული პერსონაჟი შეფასებულია მორალური განვითარების კოლბერგისეული სქემის მიხედვით და ამით განსაზღვრულია, თუ რა საფეხურს შეესაბამება იგი მის მიერ შემუშავებულ სკალაზე - რაც სტატიის ძირითადი სიახლეა. დაკვირვებისთვის შერჩეულია ორი თვალსაჩინო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას თხზულებებათა ყველასთვის ნაცნობი გმირები. სტატია ეყრდნობა და აგრძელებს ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებულ ორ სტატიას: „თავისუფლების ცნება და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები" და „ღმერთთან მებრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა".*

საკვანძო სიტყვები: *შიშით მორჩილება, მორალური დილემები, ავტონომიური მორალი.*

Katuna Gogia

Vazha-Pshavela's and K. Gamsakhurdia's characters according to Lawrence Kohlberg's moral development theory

Annotation:*The article presents an innovative method of characterization of literary characters. It is known that the moral attitudes and the process of their formation equally raises the interest of psychologists and writers, which gives an absolute freedom to use psychological-philosophical theory for opening the character of literary characters. Moral development theory of American philosopher Lawrence Kohlberg is used for a new purpose in this work, which is the main novelty of the article. Literary character is assessed according to Kohlberg's stages of moral development and is defined to which level it is relevant according to Kohlberg's developed scale. Famous characters of two well-known Georgian writers Vazha-Pshavela and K. Gamsakhurdia have been selected for observation. The article is based on two articles already published by the author, which follows: "Concept of Freedom and characters of Vazha-Pshavela" and "Jacob wrestling with God", As a prototype of Constantine Arsakidze In K. Gamsakhurdia's historical novel "The right hand of the Great master".*

Keywords: *Obedience to fear, Moral dilemmas, autonomous morals.*

ლიტერატურის სწავლება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოზარდებს მხატვრული ნაწარმოები ეხმარება ცხოვრებისა და გარე სინამდვილის უკეთ აღქმაში. როცა ისინი ლიტერატურულ ხასიათებსა და პერსონაჟთა ქცევებს აფასებენ, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, საკუთარ პიროვნებას უღრმავდებიან. ლიტერატურას სააშკარაოზე გამოაქვს მათი შინაგანი ღირსებებიც და ხარვეზებიც. მოსწავლეები მხატვრული ტექსტის მეშვეობით სწვდებიან საკუთარი ცნობიერების დაფარულ შრეებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღწევ შედეგებს შორის არის: "ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა" (ესგ). ქართულის მასწავლებელს არა აქვს იმაზე დიდი მისია და ამოცანა, ვიდრე მოსწავლის ლიტერატურული გემოვნების დახვეწა და მისგან კარგი მკითხველის ჩამოყალიბებაა. მხატვრულ ნაწარმოებში მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვევა, თუ რა იდეა უკავშირდება ამა თუ იმ პერსონაჟს და რა ღირებულებებს გვაწოდებს მწერალი მათი მეშვეობით. გმირის საქციელის შეფასება, მისი ფსიქიკის დეკოდირება უმთავრესი უნარია, რომელიც სკოლის პერიოდში ყალიბდება.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პოპულარულია ამერიკელი ფსიქოლოგის ლოურენს კოლბერგის (1927-1987) ნაშრომი *The Philosophy of Moral Development, Harper @ Row, 1981.* კოლბერგი ემპირიული ცდების საფუძველზე მსჯელობს რეალურ შემთხვევებზე და ასკვნის, რომ ადამიანი შეიძლება იმყოფებოდეს მორალური განვითარების სამ ძირითად დონეზე, რომელსაც იგი უწოდებს *პრეკონვენციურ, კონვენციურსა და პოსტკონვენციურს.* თითოეული გულისხმობს კიდევ შიდა ორ საფეხურს, ამიტომ ღებულობს სულ ექვს სტადიას. ამ სკალის თითოეული საფეხური წინაზე რთული და მეტისმომცველია. მორალური განვითარება უმნიშვნელოვანესია, რადგან მორალი არა მხოლოდ არეგულირებს ადამიანურ ურთიერთობებს, არამედ იგი არსებობს ზოგადი სიკეთის დასაცავად. ის უპირობო და უნივერსალურია და ქმნის ემოციურ ველს პერსონათა შორის. თანაბარი მორალური პოზიციის მქონე ხალხს უჩნდება ერთმანეთის მიართ სიახლოვე, მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა. ეს ხდის ამ სწრაფვას სასურველს.

სკოლაში ხდება პიროვნების მორალური განვითარება, რაშიც ლიტერატურა უდიდეს როლს ასრულებს. მართალია, კოლბერგის თეორია მხატვრულ ლიტერატურას არანაირად არ უკავშირდება, მაგრამ ფსიქოლოგებისა და მწერლების ინტერესს ერთნაირად იწვევს მორალური განწყობები და მათი ფორმირების პროცესები, ასევე - ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათის გახსნაში ხშირად გვეხმარება სხვადასხვა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თეორიები. ვფიქრობთ, ამ მიზნით ამ ფილოსოფიის გამოყენება არათუ შესაძლებელია, არამედ საინტერესოც. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ კოლბერგის მიერ ჩამოყალიბებული სტადიები კულტურულადაც უნივერსალურია და მის მიერ განსაზღვრული დონეები უფრო აზროვნების დონეებია, ვიდრე ასაკობრივი. მეცნიერის დასკვნებით, მორალი არ არის დამოკიდებული არც ბიოლოგიურ მონაცემებზე, არც

სოციალიზაციაზე. ის უპირველეს ყოვლისა, აზროვნების პროდუქტია, ანუ პიროვნების მორალური განვითარების სხვადასხვა საფეხურს განსაზღვრავს მისი აზროვნება. რატომ არ შეიძლება ლიტერატურული პერსონაჟი შევაფასოთ მორალური განვითარების მისეული სქემის მიხედვით და ამით განვსაზღვროთ, რა საფეხურს შეესაბამება იგი ამ სკალაზე?

დაკვირვებისთვის შევარჩიეთ ორი თვალსაჩინო ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას თხზულებებათა ყველასთვის ნაცნობი გმირები. ჩვენს ადრინდელ სტატიებში „თავისუფლების ცნება და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები'' და ,,ღმერთთან მებრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ძირითადად პერსონაჟთა მორალური და ზნეობრივი პოზიციების ანალიზს მოიცავდა. წინამდებარე სტატია აგრძელებს ამ ორ ნაშრომში დაწყებულ ფიქრს.

პრეკონვენციური მორალი კოლბერგის სქემაზე უმდაბლესი საფეხურია და გულისხმობს 5-6 წლის ასაკისთვის დამახასიათებელ უსიტყვო მორჩილებას, რომლის ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორია დასჯის შიში. ამ საფეხურზე მორალი განიხილება, როგორც გარკვეული ძალაუფლების მქონე ადამიანებისგან (ძალისგან) გამოგონილი და დამკვიდრებული ქცევის წესები, რომლებსაც უნდა დაემორჩილო, რათა თავიდან აიცილო დასჯა. ამ დონეზე ადამიანის ქმედებას განსაზღვრავს გარკვეული მაიძულებელი ფაქტორის - დასჯის შიში. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვისგან მოელის ის ამას: კონკრეტული პიროვნებისგან, სახელმწიფოსგან, საზოგადოებისგან თუ თვით ღმერთისგან. მორალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანს ჰქონდეს სხვებისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობის, სხვისი აზრისა და ქცევის ანალიზის უნარი, რაც ამ სტადიაზე არ არსებობს. აქ არსებობს მხოლოდ შიში, მორჩილება, ან სამართლიანი აღებ-მიცემობა.

კ. გამსახურდიამ ''დიდოსტატის მარჯვენაში'' დახატა სცენები, სადაც მოქმედი პირების ქმედებას განსაზღვრავს ერთადერთი რამ - შიში. გავიხსენოთ, როგორ დაიმორჩილა გიორგი მეფემ მეამბოხე ფეოდალები. ისინი შეაშინა ძელიცხოვლის ცრუსასწაულით. მეფემ რელიგია გამოიყენა ზემოქმედების იარაღად, რადგან ხალხის მორალური განვითარების დონე ამის საშუალებას აძლევდა. სულიერი უმწიფარობა მანიპულირებადს ხდის საზოგადოებას. ნაწარმოებში დაუვიწყარი ეპიზოდია ასევე მეფის სასახლიდან ჯაჭვით დაბმული ჯვრის ''გაპარვა''. აქ მწერალი ცხადად გვიჩვენებს, რომ შიშს ფანატიზმი შობს, რომელიც არა მხოლოდ თრგუნავს პიროვნებას, არამედ აგრესიულსაც ხდის. ამ აგრესიის გამოხატულება იყო შუასაუკუნეებში ინკვიზიცია. ასეთი საზოგადოებისთვის უცხო არ არის ცრუაპოკალიპტიკა, ცრურწმენები, ადამიანის დასჯა ''სატანის თანაზიარობისა'' და მკრეხელობისთვის. ამ აზროვნების მსხვერპლი გახდა სახლთუხუცესი რატი და ამ ბრალდებით დაისაჯა კონსტანტინე არსაკიძეც. ასეთი საზოგადოება დაბეჩავებულია და უფრო ბრბოს სახე აქვს. კ. გამსახურდია არაერთგზის აღწერს მას:

ა) შეძრწუნებულნი ფხოველნი დალახვრული თვალებით შესცქეროდნენ ჯვარისმტვირთველის ხელში აღმართულ ძელიცხოველს. თავს იშიშვლებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, კალთებს უკოცნიდნენ კათალიკოსს (გამსახურდია 1984:56).

გ) მთელი კვირის მანძილზე კოლონკელიძის სასახლეში თავზარდაცემული დაბორიალობდა დიდი და მცირე, ჭიაბერის მაგალითით დაშინებულნი, დღე-დღეზე ელოდნენ კოლონკელიძის სიკვდილს (გამსახურდია 1984:57).

გ) მოულოდნელად შეუჟღალდა საფეთქლები კოლონკელიძეს, წვერი გაუჭაღარავდა, უცნაურად მოტყდა და დაშინდა (გამსახურდია 1984:57).

დ) ბორდოხანი და მამამზე ფორთხვით დაუვარდებოდნენ ჯვარს, ავედრებდნენ ჭიაბერის სულს. დაძინებული სახლეული, მხევლები და მსახურები შიშით ველარ ბედავდნენ იმ დარბაზში შესვლას, სადაც ძელიცხოველი ესვენა (გამსახურდია 1984:58).

ე) შორს მდგარნი მიახლოებას გაურბოდნენ, ახლოს მყოფნი შიშით გვერდს უვლიდნენ მას. ცერებზე დგებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ბრბოში ისრისებოდნენ, შეძრწუნებულნი, გაოცებული თვალებით ეძებდნენ მრისხანე ჯვარს, ამ ლომგულოვანი რაინდის მომაკვდინებელს (გამსახურდია 1984:54).

ვ) ყველაზე მეტად წმ. გიორგის მცხეთის სასახლიდან «გაპარვამ» დააღონა მარიამი, უდიდესი უბედურების მაცნედ მიიჩნია ეს ამბავი (გამსახურდია 1984:137).

აქ ჩანს შეძრწუნებული, დათრგუნული, შიშით შეპყრობილი ადამიანების სახეები, რომლებიც მორალური განვითარების ზუსტად იმ საფეხურს შეესაბამებიან, რომელსაც კოლბერგი პრეკონვენციურს უწოდებს. სვეტიცხოვლის ამგები კონსტანტინე არსაკიძე ამ მასისგან გამოცალკევებულია და სრულიად არ ჰგავს, მათზე ათასჯერ ამაღლებულია. მის მსგავს ადამიანებში (რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა) განვითარებისა და სიცოცხლის ენერგიაა დავანებული და შიში, ძრწოლა, შური სრულიად უცხოა. მას არც მეფის ეშინია, არც კათალიკოსის, არც ჟამიანობის მმუსვრელი ხელის, არც „სასახლიდან გაპარული ხატების, "არც ურჩებისა და ორგულების „დამსჯელი„ ჯვრებისა სწამს. შიში უცხო იყო არსაკიძისთვის, საგანგებოდ ამბობს მწერალი და ამით უსვამს ხაზს, რომ ამ პერსონაჟის ქცევებს სულ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. *"განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალიე სვეტიცხოველს ჯანი? (გამსახურდია 1984:286*). ის არც სასყიდელს ელოდება და არც სახელ-დიდებას, მეტიც, ქვეცნობიერად კიდეც გრძნობს, რომ მკლავის მოკვეთით „დაუფასდება" არაამქვეყნიური, საუკუნეებს გადაწვდენილი ღვაწლი.

ცხადია, კოლბერგის თეორიის ე. წ. პრეკონვენციური მორალზე, რომელიც განვითარების ადრეული ასაკისათვის არის დამახასიათებელი და ის გარდაუვალი აუცილებლობაა გარკვეულ

პერიოდში, მაგრამ აუცილებელია პიროვნებამ და საზოგადოებამ განაგრძოს განვითარება და არ დარჩეს ამ არასასურველ ''მარადიულ სიმცირეში''.

კონვენციური მორალი. კოლბერგის სქემის მეორე საფეხურია ე. წ. კონვენციური მორალი, რომელიც 10-დან 16 წლამდე ასაკში ყალიბდება. ამ სტადიაზე მორალი განიხილება, როგორც უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი შეთანხმებაა. ადამიანი ვალდებულად თვლის თავს ოჯახისა და საზოგადოების მოლოდინების შესაბამისად იცხოვროს და კანონმორჩილი იყოს. კარგი საქციელი აღნიშნავს სიყვარულის, ემპათიის, ნდობის, სხვებზე ზრუნვის უნარს და ამით სოციალური წესრიგის შენარჩუნებას. ამ სტადიაზე მყოფ ადამიანებს სულ უფრო და უფრო მეტად აღელვებთ საზოგადოება, ემორჩილებიან კანონებს და ასრულებენ მოვალეობებს, რათა სოციალური წესრიგი შენარჩუნდეს. პიროვნება აზროვნებს, როგორც სოციუმის სრულფასოვანი წევრი და მორალურ გადაწყვეტილებასაც მხოლოდ სოციუმის ინტერესიდან გამომდინარე ღებულობს. ის პატივისცემას იჩენს და იცავს საზოგადოებისაგან აღიარებულ ობიექტური სიკეთეს, რომელიც მოთხოვნილია თვით ამ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მისი მომავალი სტაბილურობისა და ბედნიერებისათვის. მორალური ქმედებისათვის ადამიანებს სხვადასხვა რამე უბიძგებს: ეს არის თანამშრომლობა, წარმატების მიღწევა სხვადასხვა ასპარეზზე, სოციალური აღიარებისკენ სრაფვა, ალტრუიზმი... პიროვნება იმდენად ეთანხმება საზოგადოებაში მიღებულ კონვენციებს, ნორმებს, რომ მათ განიხილავს საკუთარ ინდივიდუალურ ნებად და მას ემორჩილება მაშინაც კი, როცა დამორჩილებას ან დაუმორჩილებლობას არანაირი შედეგი არ მოჰყვება. იშვიათად შეაქვს ეჭვი კანონების სისწორეში.

ვაჟა-ფშაველას პოემებში მორალური განვითარების კონვენციურ სტადიაზე იმყოფება თემი. მწერალი აღწერს მის საოცარ ერთიანობასა და სიმტკიცე-შეუვალობას, როცა საქმე ეხება თავისი წევრების ზნეობას: `მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ, რა ხარ სიცრუის მთქმელადა. იგი ზნეობრიობის დარაჯად მიიჩნევს თავს და არ დაუშვებს, რომ პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს და რა დამსახურებაც არ უნდა მიუძღოდეს ხალხის წინაშე, მოიქცეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობას მოესურვება. თვითნებობას სისასტიკით აღკვეთს და ასე იცავს თავის თავს.

თემი თავისებურად გულწრფელია იმაში, რომ ეშინია ზნეობის დეფიციტის. იგი დარწმუნებულია, რომ ეს დაარღვევს საუკუნოვან, ძნელად მიღწეულ ერთიანობას, დაემუქრება მის სიმტკიცეს. ის გრძნობს პასუხისმგებლობას, ამიტომაც თავგამოდებით აკონტროლებს თავის ყველა წევრს და როცა საქმე მორალსა და ზნეობას ეხება, არის მკაცრი და უკომპრომისო, არ ახასიათებს ლიბერალობა და შემწყნარებლობა. თემის წევრები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ წესებისა და კანონების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. მათი სიმკაცრე იმით აიხსნება, რომ მათ ცნობიერებაში ადათისა და წესის დარღვევა უმომავლობასთან, დაშლასთან და კატასტროფასთან ასოცირდება.

ასეთი საზოგადოების ნაკლია ზედმეტი კონსერვატიულობა. ის უნდა მიხვდეს, რომ განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა შეიცვალოს ზოგი წესი მოთხოვნათა შესაბამისად. ვაჟა-ფშაველას პოემებში თემის წარმომადგენლები უმეტესად გულის თვალით ბრმანი და ყრუნი არიან. ისინი შეჰგუებიან ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ კანონებს, არ ეჭვებათ მათი მართებულობა.

პოსტკონვენციური მორალი გულისხმობს ორიენტაციას უნივერსალურ პრინციპებზე. პიროვნებისთვის, რომელმაც მიაღწია განვითერების ამ ეტაპს, სოციალური ნორმები და ღირებულებები აღიქმება, როგორც ბუნებრივი და ნორმალური რამ, რადგანაც ის სოციალიზაციის ერთადერთი საფუძველია. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე ხდება ყველა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. პიროვნებას აქვს უნარი განიხილოს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და დააფასოს ინდივიდუალიზმი უნივერსალურობის პრინციპით. არ აღიარებს კანონს, რომელიც თუნდაც ერთს აზიანებს სხვების სასარგებლოდ. „კოლბერგის სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი ეფუძნება კანტის, მაჰათმა განდის და მარტინ ლუთერ კინგის ფილოსოფიას, ამიტომ ის უფრო მეტად თეორიულად არსებობს და ნაკლებად ემპირიულია“. როგორც თავად კოლბერგი ამბობდა, მისი ინტერვიუს მეთოდი არ იყო საკმარისი ამ ბოლო სტადიის მეცნიერული კვლევისთვის. ეს სტადია ინდივიდუალურ მორალურობაზე ხაზგასმით ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი კონტრაქტის უზენაესობას. თავად მარტინ ლუთერ კინგსაც სწამდა, რომ სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი ხშირად ითხოვს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას“ (herba.ge. ფსიქოლოგია, ლოურენს კოლბერგი)).

ამ უმაღლეს საფეხურზე სწორი ქმედება განისაზღვრება სინდისის თვითამორჩეული ეთიკური პრინციპებით, რომლებიც ვრცელდება მთელ კაცობრიობაზე, განურჩევლად კანონისა და სოციალური შეთანხმებისა. ეს ფასეულობები აბსტრაქტულია და არა ათ მცნებასავით კონკრეტული. ამ საფეხურზე მყოფები, წესისამებრ, საუბრობენ ისეთ პრინციპებზე, როგორებიცაა თანაბარი ზრუნვა ყველა ადამიანის მოთხოვნილებაზე, თითოეული პიროვნებისთვის პატივის მიგება და ღირსების პატივისცემა.

ამგვარი აზროვნება 25-30 წლის ასაკისთვის ვითარდება და სრულყოფილების ამ ასაკს სულიერებისა საზოგადოების უმცირესი ნაწილი თუ აღწევს. კოლბერგის მიხედვით, ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილი აღწევს მეექვსე სტადიამდე.

ვაჟა-ფშაველას პოემების გმირები ადამიანურ კანონებს არ აღიქვამენ როგორც საღვთო მცნებებს, რომელთაც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო. მათ აქვთ შინაგანი მორალი და შეხედულებები სწორი თუ არასწორი საქციელის შესახებ. ეს პრინციპები ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და სამართლიანობა. ეს უმაღლესი მორალური სტადიაა, როცა ადამიანებს აქვთ უნივერსალური ეთიკური პრინციპები, რომელიც დაფუძნებულია შინაგან უნივერსალურ სტანდარტებზე. ისინი არ დაემორჩილებიან წესებს, თუ ეს წესები მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მიგვაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ზვიადაური, აღაზა სწორედ პოსტკონვენციური მორალის ადამიანები არიან. საყოველთაო წესების დარღვევა თვითმიზანი როდია მათთვის. მათ სრულიად არა აქვთ წინასწარგანზრახვა დაუპირისპირდნენ თემის რომელიმე ადათს და უარყონ იგი. მეტიც: მათ არა აქვთ ადათთა დარღვევის ცნობიერება, მას შემდეგაც კი, რაც ისინი თემის მიერ გაკიცხული აღმოჩნდებიან. ამას მოწმობს ის, რომ შერისხული პიროვნებანი თემის ძაგებას კრძალავენ და გაბოროტებას არ გრძნობენ. ალუდა არ იცავს თავს თანასოფლელთა შეურაცხყოფისაგან, რადგან იცის და გრძნობს, რომ რაღაც საყოველთაოდ მიღებულს, დადგენილსა და ხელშეუხებელს არღვევს, ვარდება საერთო დინებიდან და ამის გამო სინანული აქვს, მაგრამ შინაგანი ბუნება არ აძლევს უფლებას მოიქცეს სხვანაირად, არ ძალუძს დამორჩილება.

უდავოა, რომ მორალური განვითარება ხდება მაშინ, როცა პიროვნება ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ეცნობა. უდიდესი შინაგანი კულტურა სჭირდება იმას, რომ აღიქვა და გაიგო სხვა ადამიანების განსხავებული პერსპექტივები. კვლევები მოწმობს, რომ მხოლოდ ურბანიზებული და განათლებული საზოგადოების წევრები აღწევენ მორალური განვითარების უმაღლეს საფეხურებს. ადამიანები განუხრელად აგრძელებენ მორალურ განვითარებას, თუმცა ყველა მათგანი ვერ აღწევს ამ სტადიას და მხოლოდ ზოგიერთებს ხელეწიფებათ უფრო წინ სვლა.

ყველა კულტურაში არც გვხვდება გვიანდელი სტადიები. ქართულ კულტურაში კი ვაჟა-ფშაველა გვაძლევს უმაღლესი მორალით აღჭურვილი პიროვნებების პორტრეტებს. ვაჟამაც იცის, რომ მსგავსი ფასეულობებით ცხოვრება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია: „ციური გულის დუღილის“ საკუთარ თავში აღმოჩენას კონკრეტული პიროვნებისაგან განსაკუთრებული სულიერება სჭირდება, რაც აძლევს ადამიანს მსხვერპლად შეეწიროს ჭეშმარიტ ღირებულებებს: „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟკაცი კვდებისა“.

ამრიგად, კოლბერგის მორალური გავითარების თეორია არის უნივერსალური კულტურული თვალსაზრისით და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიტერატურული ანალიზის დროსაც. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველა და კ. გამსახურდია მხატვრულად ასხამენ ხორცს იმავე თვალსაზრისს, სანამდეც ფილოსოფოსი მიიყვანა ემპირიულმა ცდებმა და კვლევებმა. ფილოსოფოსები და მწერლები ხშირად ერთსა და იმავე იდეებს გვაწოდებენ სხვადასხვა გზით, რაზე დაკვირვებაც ყოველთვის საინტერესო შედეგებს მოგვცემს.

ლიტერატურა:

გამსახურდია, კონსტანტინე. 1976. *დიდოსტატის მარჯვენა.* საბჭოთა საქართველო. თბილისი.

გოგია, ხათუნა. *პიროვნული თავისუფლების იდეა და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები,* შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, N 6. 2013.

გოგია, ხათუნა. *„ღმერთთან მებრძოლი იაკობი, როგორც კონსტანტინე არსაკიძის წინასახე კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“*, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომები, N 7-8, 2017.

ვაჟა-ფშაველა 1986: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ, 1986.

LLawrence Kohlberg, The Philosophy of Moral Development, Harper @ Row, 1981.

ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა, საბაზო საფეხურის სტანდარტი http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf (30.07.2019)

ფსიქოლოგია, ლოურენს კოლბერგი http://herba.ge/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98 (30.07.2019).